თემის შეფასების სქემა
მაქსიმალური ქულა - 16

ქულა	როგორ პასუხობს ნაწერი მოცემულ დავალებას; არის თუ არა აზრი გადმოცემული თანმიმდევრულად. **Task fulfilment**	როგორ არის დაცული გრამატიკულ-ლექსიკური სიზუსტე. ასევე სიზუსტე მართლწერასა და პუნქტუაციაში. **Accuracy**	*ქულა*
8-7	- <u>ნაწერი ძალიან კარგია.</u> იგი სრულყოფილად პასუხობს დავალებას. - აზრი მკაფიოდ და გასაგებად არის გადმოცემული. გამყარებულია მაგალითებით და პირადი მოსაზრებებით. - ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ლოგიკურია.	- გრამატიკული შეცდომების რაოდენობა 3-ს არ აღემატება. გამოყენებულია რთული წინადადებები და კონსტრუქციები. - ლექსიკა მდიდარია. - მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები უმნიშვნელოა.	8-7
6-5	- <u>ნაწერი კარგია,</u> პასუხობს დავალებას, თუმცა ზოგ შემთხვევაში ზედმეტი ან, პირიქით, არასაკმარისი ინფორმაციაა მოცემული. - აზრი ძირითადად კარგად არის გადმოცემული. ჩანს პირადი მოსაზრება და/ან მოყვანილია მაგალითი. - ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ძირითადად ლოგიკურია, თუმცა ზოგ შემთხვევაში მკითხველს ყურადღების დაძაბვა უხდება.	- დაშვებულია 4-7 გრამატიკული შეცდომა, არასწორი სინტაქსური სტრუქტურების ჩათვლით, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ძირითადი აზრის გაგებას. - ლექსიკა დავალებისა და მოთხოვნის შესატყვისია. - მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები ძირითადად ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	6-5
4-3	- <u>ნაწერი საშუალო დონისაა.</u> აზრი ძირითადად გასაგებია, თუმცა ზოგ შემთხვევაში აზრის მიყოლა ჭირს. ინფორმაცია ზოგადია, დებულებები მეორდება. - წინადადებები ერთმანეთს ლოგიკურად ცუდად უკავშირდება. პირადი მოსაზრება მკაფიოდ არ ჩანს. ან: ნაწერი 110 სიტყვაზე ნაკლებია, შესაბამისად შეცდომების რაოდენობა ნაკლებია.	- დაშვებულია 8-11 გრამატიკული შეცდომა. გამოყენებულია მეტისმეტად მარტივი და/ან არასწორი სინტაქსური სტრუქტურები. - ლექსიკა საკმაოდ მარტივი და შეზღუდულია. - მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებულ შეცდომებს სისტემური ხასიათი აქვს, რაც, ზოგ შემთხვევაში, ხელს უშლის აზრის გაგებას.	4-3
2-1	- <u>ნაწერი (ძალიან) სუსტია.</u> ინფორმაცია ზოგადი და მწირია. აზრის გაგება, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია. ან: ნაწერი 50 სიტყვაზე ნაკლებია/ დაწერილია რამდენიმე წინადადება <u>ან: ზოგადი სახის დებულებები, რომლებიც კონკრეტულ თემას არ უკავშირდება, ხშირად მეორდება.</u>	- დაშვებულია 11-ზე მეტი გრამატიკული შეცდომა. წინადადებები სტრუქტურულად გაუმართავია. - ლექსიკა ძალზე მარტივი და შეუსაბამოა. - მყღავნდება მართლწერისა და პუნქტუაციის წესების სუსტი ცოდნა.	2-1
0	ფურცელი ცარიელია ან დაწერილია მხოლოდ ერთი წინადადება და/ან გადმოწერილია დავალების ინსტრუქცია. ან: ნაწერი არ პასუხობს დავალებას ან	დაწერილია რამდენიმე წინადადება, საიდანაც აზრის გამოტანა შეუძლებელია. შეცდომა დაშვებულია ყოველ წინადადებაში.	0